ხელშეკრულება №54/2018
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2018 წლის 01 ოქტომბერი ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი, დირექტორის **ზურაბ ოშხნელის** სახით (შემდგომში: „შემსყიდველი“)
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68
საიდენტიფიკაციო კოდი: 205355499
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მეორე მხრივ შპს „მბს“, დირექტორის **ანა ნებულიშვილის** სახით (შემდგომში: „მიმწოდებელი“)
მისამართი: ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. №5
საიდენტიფიკაციო კოდი: 203838277
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE55 TB18 8893 6020 1000 05

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1” ქვეპუნქტით, ვადასტურებთ რომ ***„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“*** საქართველოს კანონით სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 **ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** – შემსყიდველ ორგანიზაციას და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.1.2 **ხელშეკრულების ღირებულება** – საერთო თანხა, რაც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;

1.1.3 **შემსყიდველი** – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 **მიმწოდებელი** – პირი, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას;

1.1.5 **შესყიდვის ობიექტი** – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.1.6 **დღე, კვირა, თვე** – კალენდარულ დღე, კვირა, თვე თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მობილური ტელეფონები დანართის (დანართი №1) შესაბამისად, რაც თან ერთვის ამ ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი ***(CPV: 32250000 – მობილური ტელეფონები).***

3. მხარეთა მოვალეობები

3.1 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

3.1.1 გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

3.1.2 თუკი ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი, ან შეცვალოს იგი თავისი ხარჯით.

3.2 <u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>

3.2.1 მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის/საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

3.3.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

3.3.2 უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

3.4 <u>შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>

3.4.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ერთეულის ფასები მოცემულია თანდართულ ფასების ცხრილში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4 070,00** (ოთხი ათას სამოცდაათი) ლარს.

4.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

6.2 შესყიდვის საგნის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68.

6.3 საქონლის მიწოდება ხდება ერთიანად ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

6.4 შესყიდვის ობიექტი/საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის მატერიალური უზრუნველყოფის სპეციალისტის **შოთა სიბაშვილს.**

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის შესყიდვების მენეჯერს **ვასილ გაგნიძეს.**

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4 რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებას იტოვებს, მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, ან ჯეროვანი შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

13.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია, ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი შეთანხმების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. გარანტია

15.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი უზრუნველყოფილია მიმწოდებლის გარანტიით, რომლის ვადა განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის მიღების შესახებ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლით.

15.2 საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ნაკლი, რომელიც წარმოიშობა შემსყიდველის ბრალეული მიზეზების გარეშე (გარდა მექანიკური დაზიანებებისა), უნდა აღმოიფხვრას მიმწოდებლის მიერ უსასყიდლოდ. ხარვეზის აღმოფხვრა (შეკეთება, შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში – შეცვლა) უნდა მოხდეს არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. წუნის/ხარვეზის/დეფექტის მქონე საქონლის შეკეთების/შეცვლის შემთხვევაში საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

16. დავების გადაჭრის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

17. დასკვნითი დებულებები

17.1 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღეს და წელს.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

18. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯი	შპს „მბს“
ზურაბ ოშხნელი დირექტორი	**ანა ნებულიშვილი** დირექტორი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის აღწერა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	მობილური ტელეფონი: Xiaomi Redmi S2 Grey, 5.99”	8 ცალი	465,00	3 720,00
2	მობილური ტელეფონი: Fly FS459_Black. 4.5“	2 ცალი	175,00	350,00
	სულ:			**4 070,00**

შემსყიდველი:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და
ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯი

მიმწოდებელი:
შპს „მბს“

ზურაბ ოშხნელი
დირექტორი

ანა ნებულიშვილი
დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 01 ოქტომბერი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის – **შპს „მბს“** მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი

_____ /ზურაბ ოშხნელი/

ხელშეკრულება მოამზადა:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის შესყიდვების მენეჯერი

_____ /ვასილ გაგნიძე/

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის მატერიალური უზრუნველყოფის სპეციალისტი

_____ /შოთა სიბაშვილი/

კონტროლის (ინსპექტირების) განმახორციელებელი პირი:
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის შესყიდვების მენეჯერი

_____ /ვასილ გაგნიძე/